ხელშეკრულება № 9/09/1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 9 სექტემბერი 2013 წელი

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.(CPV 30200000;30216110)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია წარმოდგენილი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დავით კირთაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს ,,ორიენტ ლოჯიკი" წარმოდგენილი კომერციული დირექტორის ალან სანაკოევის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს მიწოდებას 25(ოცდახუთი) ცალი სკანერი Epson GT-S85 შემდგომში "საქონელი", ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. საქონლის ღირებულება და აღწერილობა

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს (მათ შორის დღგ) 39000,00 (ოცდაცხრამეტი ათასი) ლარს.

2.2. შესყიდვის მოცულობა, ერთეულის ფასი: 25(ოცდახუთი) ცალი სკანერი Epson GT-S85; ერთეულის ფასი 1560,00 ლარი.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

3.3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული საქონლისათვის.

3.4. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

4.2. საქონლის მიწოდება ხორციელდება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.

4.3. მიწოდებისას საქონელს უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები: საგადასახადო ანგარიშფაქტურა; სასაქონლო ზედნადები.

5. ხარისხი/გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი და მიწოდებულ საქონელზე ვრცელდება 1 (ერთი) წლიანი გარანტია.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი ----------

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
10.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი: ნ. ბერელიძე.
12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
12.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.4. ხელის მომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კომფლიქტში.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი ----------

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 ოქტომბრამდე.
15.2 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.
16.1 მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი"
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509
ტელ: (995 32) 2510051
სახელმწიფო ხაზინა
ანგ #200122900; კოდი: 220101222

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს "ორიენტ ლოჯიკი"
ქ. თბილისი, ბელიაშვილის #8
საიდენტიფიკაციო კოდი: 202052054
ტელ: (995 32) 2 541818
ს/ს "პროკრედიტ ბანკი"
კოდი: MIBGGE22;
ა/ა GE67PC0243600100009528

დავით კირთაძე
თავმჯდომარის მ/მ.

ალან სანაკოევი
კომეციული დირექტორი

შემსყიდველი ----------

მიმწოდებელი ----------